

## ბიზნეს ფორუმი - "ვაკეთოთ ბიზნესი ერთად"



2011 წლის 28 მაისს პროექტის "ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის" ფარგლებში ადგილობრივი მეწარმეობისა და პროდუქციის ხელშეწყობის მიზნით გაიმართა ბიზნეს ფორუმი "ვაკეთოთ ბიზნესი ერთად", რომელიც განხორციელდა ქართული ფონდი/ქართული დიასპორა ნიდერლანდებში და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ, ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობისა და ქუთაისის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით.

ფორუმის ფორმატით გათვალისწინებული იყო მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზის "ექსპო-იმერეთის" პრეზენტაცია, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა და ბიზნეს კონფერენციის ორგანიზება, რაც წარმატებით განხორციელდა.

ბიზნეს ფორუმი ოფიციალურად გახსნეს: მეუფე კალისტრატემ, ქალაქ ქუთაისი მერმა გიორგი თევდორაძემ, ნიდერლანდებში ქართული დიასპორის ფონდის ხელმძღვანელმა - ქალბატონმა მარეხი ტოგონიძემ



ექსპოზიციისა და კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და პრეზენტაცია წარუდგინეს: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა - იოსებ ხახალეიშვილმა, ქალაქ ქუთაისი მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა - მალხაზ ჭრელაშვილმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორმა - ხათუნა დიდბარიძემ, ქუთაისი რეგიონალური სავაჭრო სამრეწველო პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა - ემზარ ღვინიაძემ, ნიდარლანდური კონსალტინგური კომპანიების (Brainport Development და ECORYS) საერთაშორისო ექსპერტმა იან კოენრაად ვენსტრამ და რობ ვან დე ხეველმა.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: იმერეთის რეგიონში მომქმედმა მცირე და საშუალო საწარმოების, კომერციული ბანკების, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ასამდე წარმომადგენელმა.